

## ნავთობის ტრანზიტი

### დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი

2006 წლის განმავლობაში “დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის” საშუალებით სულ იმპორტირებულია 5,612,322.971 ტონა ანუ 41,649,328.33 ბარელი ნავთობი. ნიშანდობლივია, რომ 2006 წლის 21 ოქტომბრიდან ზესტაფონის რაიონში (კნ 247) მიმდინარე მეწყრული პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, მილსადენის ექსპლუატაცია შეჩერებულია და დაგეგმილია დაახლოებით 1 კმ-იანი სიგრძის მონაკვეთის მარშრუტის შეცვლა, რაც სავარაუდოდ 2007 წლის შემოდგომაზე დასრულდება.

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენი

მნიშვნელოვანია, რომ 2006 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით “ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის” საშუალებით იმპორტირებული ნავთობის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (დაახლოებით 27-ჯერ) და შეადგინა 8,709,190.930 ტონა ანუ 64,886,814.01 ბარელი. ამასთან, ცნობილია, რომ ნავთობის კონსორციუმის მიერ საქართველოს მთავრობისათვის ტარიფის გადახდა დამოკიდებულია გატარებული ნავთობის მოცულობაზე. ამდენად, მილსადენის სრული დატვირთვით ამოქმედება პირდაპირ აისახება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალზე.

### პროექტების მონიტორინგი

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ გაეროს და მსოფლიო ბანკის დაფინანსების ფარგლებში ჩატარებული ტენდერის შედეგად მიიღო საერთაშორისო მრჩეველების დახმარების და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა. 2006 წელს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა ტექნიკურ მრჩეველებთან (**JP Kenny**). ბკ-სთან ურთიერთქმედებით ბევრი საკვანძო საკითხი დაზუსტდა და დაიხვეწა. მილსადენების ხანძარსაწინააღმდეგო და ავარიული რეაგირების გეგმაში შეტანილი იქნა კონკრეტული ცვლილებები;

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ავარიული ჩამოსაცლელი რეზერვუარის და მეორადი ლოკალიზების სისტემის პროექტებთან დაკავშირებით კომპანია ბკ-ს მიეწოდა კონკრეტული მოსაზრებები და წინადადებები, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება პროექტის საბოლოო განხორციელებისათვის.

გარდა ზემოხსენებული პროცესებისა, 2006 წლის განმავლობაში განხორციელებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მილსადენების სააღრიცხვო კვანძების ექსპლუატაციის მონიტორინგი;

2. მილსადენის გამოცდების მონიტორინგი (ჰიდროტესტირება, ჩამკეტი სარქველები და მილსადენის ხელყოფის დეტექტირების სისტემების შემოწმება);
3. საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლა და სისტემატიზაცია;
5. გარემოს დაცვითი საკითხების საინჟინრო-ტექნიკური ასპექტების განხილვა;
6. პროექტებისათვის გამოყენებულ გზებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა;
7. გასხვისების ზოლის ზამთრის პერიოდის შემდგომი მდგომარეობის შესწავლა და გეო-საშიში მონაკვეთების მონიტორინგი;

### **ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტი**

სს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია-სა და შპს ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი) შორის 2005 წლის 23 სექტემბერს ხელმოწერილი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულების მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებას, 2006 წლის გაზაფხულისათვის მოხდა შერჩეული ორი (B და E, შესაბამისად, ფასანაური – საგურამო და საგურამო – წითელი ხიდი) სექციის კვლევის დასრულება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება.

საველე სამუშაოების ძირითადი ნაწილი 2005 წლის ბოლოსათვის დასრულდა. 2006 წელს ძირითადად განხორციელდა მილსადენის კოროზიულობის შესწავლა და ველზე შეკრებილი ინფორმაციის საოფისე დამუშავება. გამოვლენილი იქნა პირველი კატეგორიის სირთულის ობიექტები, შედგა ხარჯთაღრიცხვა, გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიში ა.შ.

ორ სექციაზე დასრულებულმა კვლევებმა გამოავლინა ექვსი მონაკვეთი, რომელებიც გადაუდებელი რეაბილიტაციის კატეგორიას მიეკუთვნება და მილსადენის ფუნქციონირებას რეალურ საფრთხეს უქმნის. ეს ექვსი მონაკვეთია:

- მდინარე არყალას გადაკვეთა (B სექცია)
- მენესოს მეწყრული უბანი (B სექცია)
- ნანიანის მეწყრული უბანი (B სექცია)
- ზოტიკიანთკარის ხევის გადაკვეთა (B სექცია)
- მილის კოროზია 193+850 - 194+120 (E სექცია)
- მდინარე გლდანულას გადაკვეთა (E სექცია)

სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ დაწყებულიყო ექვსი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნულთან დაკავშირებით 2006 წლის 21 ივნისს ფონდმა ათასწლეულის გამოწვევა საქართველომ სს საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასთან ხელი მოაწერა თანამშრომლობის ხელშეკრულებას ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის მართვის განსახორციელებლად. ხელშეკრულებით კორპორაციამ აიღო ვალდებულება მომზადებინა პროექტის მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და განეხორციელებინა სამშენებლო საქმიანობების ზედამხედველობა და მონიტორინგი.

2006 წელს განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

მომზადდა პროექტის აღსრულების გეგმა;

1. არსებული მონაცემების დაზუსტებისა და სამშენებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე ორ უბანზე (მენესოსა და ნანიანის მეწყერი) ჩატარდა დამატებითი საინჟინრო გეოლოგიური კვლევები და შეიქმნა შესაბამისი დეტალური ანგარიშები;
2. მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ორი ანგარიში და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან მიღებული იქნა შესაბამისი ნებართვა. იმ უბნებისათვის, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით არ საჭიროებენ გზშ-ს გაკეთდა გარემოს შეფასების ანგარიშები, სამშენებლო კონტრაქტორთან ერთად შედგა გარემოსდაცვითი მართვის გეგმები;
3. ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან მიღებული იქნა ეტაბობრივი სამშენებლო ნებართვა ნანიანის მეწყერული უბნისათვის;
4. მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია (სამშენებლო უბნების ტიპური ნახაზები, სამუშაოთა მოცულობა, ტექნიკური სპეციფიკაციები, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფის/ხარისხის კონტროლის სპეციფიკაციები, გეგმები, პროცედურები);
5. პროექტისათვის შემუშავდა განსახლების სამოქმედო გეგმა. ნანიანის მეწყერულ მონაკვეთზე მილსადენის მარშრუტის გადატანასთან დაკავშირებით განხორციელდა მოლაპარაკებები კერძო მიწის მფლობელებთან და გაფორმდა შესაბამისი სერვიტუტის ხელშეკრულებები;

6. სამშენებლო კონტრაქტორის პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები გარემოს დაცვას, ხარისხის კონტროლს/უზრუნველყოფასა და ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებაში;
7. განხორციელდა კონტრაქტორების მიერ მომზადებული დოკუმენტაციის შემოწმება/დამტკიცება;
8. კონტრაქტორების მიერ სამუშაოების დაწყებიდან ხორციელდება მშენებლობის მუდმივი კონტროლი და მონიტორინგი. მზადდება შესაბამისი ყოველთვიური ანგარიშები;
9. საკუთრივ მშენებლობის მიმდინარეობის კონტროლი მოიცავს:
10. სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგს;
  - სამშენებლო მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის კონტროლს;
  - ფიზიკური და ფინანსური პროგრესის ანგარიშის მომზადებას და დაგვიანების, ხარჯების ზრდის, არადამაკმაყოფილებელი ხარისხის და სხვა პრობლემების შემთხვევაში მდგომარეობის გამოსასწორებელი ზომების დასახვას;
  - ხარისხის უზრუნველყოფას, რათა შესრულებული სამუშაოები აკმაყოფილებდეს პროექტსა და სპეციფიკაციებში მოცემულ სტანდარტებს ა.შ.
11. ნებისმიერი პროცედურის შესრულებამდე ტარდება რისკის ანალიზი და ხდება შედეგების დოკუმენტირება.

საერთაშორისო სატენდერო პროცედურის შესაბამისად სამუშაოებს სექციის ოთხ ობიექტზე ახორციელებს აზერბაიჯანული კომპანია ხაზარდენიზნეფტგაზტიკინტი. სექციის ორი ობიექტი სრულდება საქრთული კომპანია შპს ჯეოენჯინერიჯის მიერ.

როგორც უკვე აღინიშნა კორორაციის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით არის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა და მონიტორინგი. ამ მიზნით კორპორაციის ობიექტების ზედამხედველობის ჯგუფი ყოველდღიულად იმყოფება მუშაოების მინდინარეობის ადგილებზე და ამოწმებს კონტრაქტორების საქმიანობას. აღნიშნული შემოწმება გულისხმობს როგორც სამშენებლო სამუშაოების ყველა კომპონენტის ხარისხის კონტროლს, ასევე ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფას. ყოველდღიული ზედამხედველობა საშუალებას იძლევა დროულად იქნას დაფიქსირებული სხვადასხვა სახის პრობლემა და მოხდეს მათი დაუყოვნებლივ გადაჭრა, ისე რომ არ შეფერხდეს მშენებლობის პროცესი.

როგორც უკვე აღინიშნა ბპ-ს მიერ გამოყოფილი თანხით მოხდა მილსადენის ორი სექციის გამოკვლევა. ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის მდგომარეობის საერთო სურათის დასადგენად აუცილებელი იყო მთლიანი კორიდორის შესწავლა და იგივე სახის ანგარიშების მომზადება, როგორც უკვე შესწავლილი სექციებისათვის მომზადდა. ამ მიზნით ბპ-მ, პარტნიორებთან ერთად, დამატებით 400 000 აშშ დოლარი გამოყო. პროექტის დაფინანსებაში ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიც (EBRD) ჩაერთო და გადაწყდა, რომ საველე სამუშაოების ხარჯებს ისინი გაიღებდნენ. ბანკმა გამოაცხადა აღნიშნულ სამუშაოებზე ტენდერი და გამოავლინა გამარჯვებული კომპანია. შპს IDC-მ დაასრულა საველე სამუშაოები, რის შემდეგაც დაიწყო კვლევის შედეგების საოფისე დამუშავებისათვის მზადება.

## **ნავთობის და გაზის მოპოვება**

### **დარგის ზოგადი მიმოხილვა:**

დღეისათვის, საქართველოს ნავთობგაზმომპოვებელ დარგში მიმდინარე საწარმოო პროცესები მოიცავს ნავთობის და გაზი ოპერაციების წარმოების სრულ ციკლს: ახალი საბადოების კვლევა-ძიება, არსებული საბადოების (15 ნავთობის და 1 გაზის საბადო) დამუშავება და ათვისება, მოპოვებული პროდუქციის მომზადება სარეალიზაციო კონდიციებამდე და მათი ტრანსპორტირება რეალიზაციის პუნქტებამდე.

აღნიშნული ნავთობის და გაზის ოპერაციებით 2006 წელს დაკავებული იყვნენ შემდეგი ოერატორი: „კანარგო ჯორჯია“ (სალიცენზიო ბლოკები XIც, XIგ, XIფ, XIდ და XII), „იორის ველი ნავთობი და გაზი“ (სალიცენზიო ბლოკი XIბ), „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“ (სალიცენზიო ბლოკი XII), ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობი“ (თელეთის, ნორიო, საცხენისის ნავთობის საბადოები, V, VIIბ, VIა, VIბ და VII).

### **მნიშვნელოვანი მოვლენები:**

1) 2006 წლის 15 ივლისს „საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს“ მიერ გამართული ტენდერის შედეგებით საქართველოში ნავთობის და გაზის ოპერაციების საწარმოებლად

გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა სამი კომპანია ხუთ გეოლოგიურ ბლოკზე. ესენია:

- „**გლობალ ოილ ენდ ენერჯი ლიმიტიედი**“ რომელიც არის ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და მოქმედი იურიდიული პირი **VIIბ და VIII სალიცენზიო ბლოკები**
- „**აქსაი-ბი-მმ-სი**“ უცხოური კაპიტალისმონაწილეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომპანია- ინვესტორი **V სიცენზიო ბლოკი**.
- „**სტრაიტი ოილ ენდ გაზ ლიმიტიედი**“ გიბრალტარის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და მოქმედი იურიდიული პირი **VIა და VIბ სალიცენზიო ბლოკები**.

აღსანიშნავია, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან, პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების შემუშავება დასრულდა 2007 წლის მარტში, მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობა მიიღო „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციამ“.

2) საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 12 დეკემბრის №736 ბრძანებულების თანახმად ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი მიენიჭა შპს „საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის“.

#### ინვესტორებთან ურთიერთობის ზოგადი სამუშაო ციკლი


ინვესტორებთან ურთიერთობა ზოგადი ფორმით გამოიხატება „საოპერაციო კომპანიების“ მართვის ორგანოებში - საკოორდინაციო კომიტეტებში - პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით „ნავთობის ეროვნულ კომპანიაზე“ დაკისრებული ფუნქციების შესრულებით. აღნიშნული ფუნქციები მოიცავს ინვესტორებთან სახელმწიფოს სახელით პარტნიორის უფლებამოსალების შესრულებას. კერძოდ:

- წლიური სამუშაო პროგრამების და ბიუჯეტის განხილვა დამტკიცება.
- ათვისების გეგმების ექსპერტული შეფასება და დამტკიცება.
- ყოველკვარტლურად საკოორდინაციო კომიტეტის შეკრება და მიმდინარე ტექნიკური და ფინანსური საკითხების განხილვა.
- მიმდინარე საკითხების წლიურ (დამტკიცებულ) სამუშაო პროგრამასთან და ბიუჯეტთან შესაბამისობაში ყოფნის მონიტორინგი.
- ინვესტორის მიერ წარმოდგენილი ყოველკვარტლური და ყოველწლიური ფინანსური ანგარიშების განხილვა.
- სახელმწიფოს წილი ნავთობის და გაზის განკარგვა.

**საწარმოო მაჩვენებლები:**

2006 წელს მთლიანად მოპოვებული იქნა 63 507 ტონა ნავთობი და 21 377 ათასი მ<sup>3</sup>. სახელმწიფოს წილმა მოპოვებულ ნავთობში შეადგინა 27 692 ტონა.


**დაწესებული ინვესტიციები 2006 წელს**



■ სახელმწიფო წილი ■ ინვესტორების წილი

რეალიზებული გაზიდან 13 979 ათასი მ<sup>3</sup>-დან სახელმწიფოს წილი 4 892 ათასი მ<sup>3</sup>-ით განისაზღვრა.

**ქვეყნის მთლიანი გაზის მოხმარების განაწილება**  
**53392**



■ სახელმწიფო წილი ■ ინვესტორების წილი ■ ტექნიკური დანახარჯი

2006 წლის განმავლობაში „კანარგო ჯორჯიამ“ გაბურღა 5 575 გრძივი მერი, რომელიც მოიცავს ღრმა საძიებო ჭაბურღილს მანავი №12-ს (2006 წელს გაიბურღა 4 712 მეტრი, ჭაბურღილ მანავი 12-ის ფაქტიური სიღრმეა 5 109 მეტრი) და ჰორიზონტალურად გაბურღულ სექციას ჭაბურღილ ნინოწმინდა №97.

ნავთობის ეროვნულმა კომპანიამ სულ გაბურღა 202 გრძივი მეტრი, რომელიც მოიცავს თელეთის ნავთავთობის საბადოზე არსებული ჭაბურღილების დაღრმავებას ნავთობის მოპოვების გაზრდის მიზნით.



## გაზის ტრანსპორტირების სისტემა

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემას მომსახურებას უწევს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია. ექსპლუატაციაშია მაგისტრალური გაზსადენები და განშტოებები საერთო სიგრძით 1939.52 კმ (გაზის საერთაშორისო კორპორაციის საწესდებო ბალანსის მიხედვით), 85 გაზგამანაწილებელი სადგური, 5 გაზის გამზომი კვანძი. მაგისტრალური გაზსადენებით ხორციელდება საქართველოს მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით მომარაგება და სატრანზიტო მომსახურება სომხეთისათვის.


გაზსადენების მთლიანი საპროექტო წარმადობა შეადგენს 55 მლნ.მ<sup>3</sup> დღე-ღამეში, ანუ 20 მლიარდ მ<sup>3</sup> წელიწადში. გაზსადენების მთლიანი გეომეტრიული მოცულობაა 551.151 მ<sup>3</sup>. 2006 წელს მაგისტრალური გაზსადენების ფაქტიური დატვირთვა შეადგენდა 18%-ს. ბუნებრივი გაზის მომწოდებლები იყვნენ: “გაზექსპორტი“, კომპანია “იტერა“, გერმანული კომპანია (აირტურბინული დანადგარებისათვის), ირანის ნაციონალური გაზექსპორტის კომპანია, აზერბაიჯანული გაერთიანება „აზერიგაზნეგლ“.

აღნიშნულ პერიოდში გაზის ტრანსპორტირების კომპანია თავის საქმიანობას წარმართავდა “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, მაგისტრალური გაზსადენების ობიექტების ტექნიკური და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების მოთხოვნების შესაბამისად.


საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების ექსპლოატაციას აწარმოებდა საგურამოს, ქვეშეთისა და თერჯოლის სახაზო-საექსპლოატაციო ფილიალები.

2006 წლის განმავლობაში საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებით ტრანსპორტირებულია 3597023950 მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი, ტექნოლოგიურმა დანაკრგმა შეადგინა 73542081 მ<sup>3</sup> (დანაკარგების პროცენტულმა რაოდენობამ ტრანსპორტირებულ გაზთან შეფარდებით შეადგინა 2.04%). საკუთარი მოხმარების გაზის რაოდენობაა 257879 მ<sup>3</sup>.

სულ შემოსული გაზი - 3,597,024  
მათ შორის



გაზის განაწილება საქართველოში:



მაგისტრალური გაზსადენების მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპლუატაციაშია 30 და მეტი წლის განმავლობაში. 650 კმ სიგრძის გაზსადენი ამორტიზებულია.

ამასთან უკანასკნელი 15 წელი ფუნქციონირებს აქტიური ელექტროქიმიური დაცვის გარეშე. აღნიშნულის გამო მნიშვნელოვნადაა შესუსტებული გაზსადენების მუშაობის საიმედოობა.

კომპანიის მიერ თავისი ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში განხორციელებული პროფილაქტიკური და სარემონტო-აღდგენითი ღონისძიებების მიუხედავად, მაგისტრალური გაზსადენების სისტემა საჭიროებს სრულმასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული არ არის გაზსადენების ფუნქციონირებაში გარკვეული შეფერხებები. სწორედ ამიტომ, აშშ მთავრობის დახმარების პროგრამაში - „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომელთა მონაწილეობით განხორციელდა მაგისტრალური გაზსადენების ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკური გამოკვლევა, რომელთა საფუძველზე შეიძინა იმ სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხა, რომელსაც ქვეყნის გაზმომარაგებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ბუნებრივი გაზის დანაკარგების შემცირებისა და სისტემის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით საანგარიშო პერიოდში ფილიალების მიერ ტარდებოდა მაგისტრალური გაზსადენების ცალკეული უბნების რეაბილიტაციის, მოძველებული გაზის ხარჯის აღმრიცხველი ხელსაწყოების შეცვლის, ჩამკეტი და მარეგულირებელი არმატურის პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოები და მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაციის წესებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

2006 წლის განმავლობაში საქართველოს ენერჯეტიკის დამოუკიდებლობის მიზნით განხორციელდა სამუშაოები გაზის ალტერნატიული წყაროებიდან მიღებისათვის: სამხრეთ კავკასიის მილსადენიდან აშენდა 12 კმ სიგრძის 700 მმ-იანი გაზსადენი, რომელიც საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემას მიუერთდა ყაზახ-საგურამოს 1000 მმ გაზსადენის და 66 კმ-სა ყარაღალ-თბილისის 700 მმ-იანი გაზსადენის 484.1 კმ-ზე არსებულ შემკრავზე.

დამუშავდა სქემა და პრაქტიკულად განხორციელდა წითელ ხიდზე აზერბაიჯანის მაგისტრალური გაზსადენიდან გაზის დამოუკიდებლად მისაღების ღონისძიებები. ასევე დამუშავებულია საქართველოს გაზმომარაგების სქემა რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ბუნებრივი გაზის ცალ-ცალკე და ერთდოულად მიწოდების პირობებისათვის. საქართველოდან აზერბაიჯანის გაზსადენების სისტემაში ბუნებრივი გაზის გადაღების გამორიცხვის მიზნით საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, ყაზახ-საგურამოს 1000 მმ-იანი გაზსადენზე დამონტაჟდა უკუსარქველი.

საანგარიშო პერიოდში კაპიტალურად შეკეთდა მაგისტრალური გაზსადენები:

1. საგურამო-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის 93 კმ-ზე (სოფ.საქმაქეთი) – შეიცვალა 550 მ სიგრძის 700 მმ გაზსადენი;

2. მარნეული-წალკის მაგისტრალური გაზსადენის 30-31 კმ-ზე – 400 მ სიგრძის კოროზიული მონაკვეთი;
3. ქუთაისი-სოხუმის მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოების 34 კმ-ზე – 100 მ-მდე 500 მმ მილი;
4. დაწყებულია ვლადიკავკაზ-თბილისის გაზსადენის 66 კმ-ზე 700 მმ გაზსადენის კოროზიული მონაკვეთის გამოცვლა;
5. გამოიცვლა 700 მმ დიამეტრის სახაზო ონკანები:
  - ყარადაღ-თბილისის 484 კმ-ზე;
  - ყარადაღ-თბილისისა და ყაზახ-საგურამოს 66 კმ-ის შემკრავზე;
  - ყაზახ-საგურამოს 41 კმ-ზე;
6. დამონტაჟდა 150 მმ დიამეტრის სახაზო ონკანები:
  - ქუთაისი-სოხუმის 65 კმ-ზე;
  - ფოთის განშტოების მე-4 კმ-ზე.
6. მაგისტრალურ გაზსადენებს მიუერთდა 15 ახალი მომხმარებლები: მათ შორის-კახეთის გზატკეცილზე – აგეს, შპს „დანი“, შპს „ბურჯი“, შპს „დელტა პ“, აგეს „სამტრედია“, „იტალავტოგაზი“, შპს „ქინძმარაული“, აგეს „დედოფლისწყარო“, სოფ. მალლაკი და სხვა.

განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

აღმოჩენილ და ლიკვიდირებულია ბუნებრივი გაზის გაჟონვების 77 შემთხვევა. დაზიანების ლიკვიდაცია წარმოებდა კოროზიულ ხვრელებზე საკერებლის დადუღებით.

გაზგამანაწილებელ სადგურებში აღმოიფხვრა გაჟონვები. გეგმური პროფილაქტიკური სამუშაოები უტარდებოდა ჩამკეტ არმატურას, რაც მნიშვნელოვანწილად ამცირებდა ატმოსფეროში გაფრქვეული ბუნებრივი გაზის რაოდენობას. შეიცვალა და გარემონტდა მოძველებული არმატურის ნაწილი.

გარემონტდა და ზოგ შემთხვევაში გამოიცვალა გაზის წნევის რეგულატორები. აღრიცხვის სისტემების მოწესრიგების მიზნით გაზგამანაწილებელ სადგურებში არსებული მოძველებული ტიპის როტაციული მრიცხველები (რომლებიც მუშაობდა 1 კგ.ძ/სმ<sup>2</sup> წნევამდე) და სილფონური დიფმანომეტრები მთლიანად იქნა ხმარებიდან ამოღებული. მათ მაგივრად დამონტაჟდა უახლესი ტიპის ტურბინული და როტაციული მრიცხველები ელექტრონული კორექტორებით, რომელთა მეშვეობითაც ადამიანის ჩაურევლად ხდება გაზის ხარჯის ანგარიში წნევისა და ტემპერატურის პარამეტრების გათვალისწინებით. დაიდგა თანამედროვე „ფლოუბოსის“ ტიპის მრიცხველები, რომელთა სიზუსტის კლასი გაცილებით მაღალია ადრე სისტემაში არსებულ გამომთვლელ ხელსაწყოებთან შედარებით.

სულ 2006 წელს დამონტაჟდა 9 ახალი აღრიცხვის ხელსაწყო, აქედან 3 ფლოუბოსი, 5 ტურბინული და 1 როტაციული კორექტორიანი მრიცხველი.

2007 წლის განმავლობაში დაიწყო ჩრდილო კავკასია-ამიერკავკასიისა და ყაზახი-საგურამოს 1000 მმ მაგისტრალური გაზსადენების ტექნიკური

მდგომარეობის დიაგნოსტიკური შემოწმება, რომლის საფუძველზე დადგინდება ძირითადი სატრანზიტო გაზსადენების ფაქტიური ტექნიკური მდგომარეობა და ჩასატარებელ ღონისძიებათა ზუსტი გეგმა-გრაფიკი, რომელთა პრაქტიკული განხორციელების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საქართველოს მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით შეუფერხებელი მომარაგება და სატრანზიტო მომსახურება.